



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ეს წესი არეგულირებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში „სასწავლო უნივერსიტეტი“) სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმებს და არის სხვადასხვა სახის
2. სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმებია : სტიპენდიები, სოციალური დახმარება, სასწავლო გრანტები
3. სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები ვრცელდება სტუდენტებზე და პროფესიულ სტუდენტებზე
4. სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების სახეები შეირჩევა შესაბამისად, ნიჭიერ, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, დევნილ, სოციალურად დაუცველ, ოჯახიდან ორ და მეტ წევრ, ობოლ, საუნივერსიტეტო საქმიანობაში აქტიურად ჩართულ, ერასმუსელ სტუდენტებზე/პროფესიულ სტუდენტებზე
5. სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტით.
6. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებზე, პროფესიულ სტუდენტებზე სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების სახეობის შერჩევა და ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება ინდივიდუალურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2. სტიპენდიის გაცემა

1. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებზე სტიპენდია შეიძლება გაიცეს „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტისთვის /პროფესიული სტუდენტისთვის „სტიპენდიის დანიშვნის წესის“ შესაბამისად.

მუხლი 3. სოციალური დახმარების გაცემა



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

1. სასწავლო უნივერსიტეტში შეიძლება წახალისდნენ ფინანსურად: ნიჭიერი, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, დევნილი, სოციალურად დაუცველი, ოჯახიდან ორი და მეტი წევრი, ობოლი, მოტივირებული, საუნივერსიტეტო საქმიანობაში აქტიურად ჩართული, ერასმუსელი სტუდენტები და სხვა განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით სტუდენტები.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში სოციალური დახმარების გაწევა ხორციელდება დაინტერესებული პირის განცხადების, ფაკულტეტის დეკანის, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე.
3. სოციალური დახმარების ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს მთლიანი საფასურის 60 %-ისა.

მუხლი 4. სასწავლო გრანტის გაცემა

1. სასწავლო გრანტი გაიცემა სტუდენტზე წელიწადში ერთხელ სწავლის საფასურის არაუმეტეს 50 %-ისა.
2. სასწავლო გრანტი გაიცემა კონკურსის წესით და ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტის ნიჭიერ, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებზე.
3. სასწავლო გრანტის გაცემის საკონკურსო პირობები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.